



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის განყოფილება

1931 წ. მარტის 27.

№ 11

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა რ ს ი

სახმართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

129. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ.

რათა მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასები, საზოგადოებრივი თვით-მოქმედების სახით, რაც შეიძლება უფრო მეტად ჩაებნენ შრომის დისციპლინის დარღვევისა, საწარმოსა და დაწესებულებაში წარმოების დეზორგანიზატორებისა და აგრეთვე შრომის დისციპლინის ჩამშლელ, ძველი ყოფა-ცხოვრებისაგან ნაშთად დატოვებულ მოვლენათა (ლოათობა, ხულიგნობა, წერილი ქურდობა და სხვ.) წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. ყველა საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში და საწარმოში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის, მოეწყოს საწარმოო-საამხანაგო სასამართლო.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 198; 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 33) თანახმად სხვადასხვა საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში მომქმედი საამხანაგო სასამართლო გადარქმეულ და გადაკეთებულ იქნეს ამა დადგენილების შესაბამისად.

2. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დაევალება შემდეგი ამოცანები:

ა) ბრძოლა მტკიცე საწარმოო დისციპლინის განხორციელებისა და საწარმოს თუ დაწესებულების საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის—გამაფრთხილებელი და დისციპლინარული ხასიათის საზედმოქმედო ღონისძიებათა შეფარდებით იმ პირობათვის, რომელნიც არღვევენ შრომის დისციპლინას და შინაგანრიგების წესებს, და აგრეთვე იმ პირობათვის, რომელნიც დაუდევრად ეპყრობიან საწარმოს თუ დაწესებულების ქონებას; ბ) ბრძოლა მუშებზე და მოსამსახურეებს შორის ძველი ყოფა-ცხოვრებისაგან ნაშთად დატოვებულ მოვლენათა წინააღმდეგ, რაც ჰყოშავს წარმოებაში შრომის დისციპლინას (ლოთობა, თავაშვებულობა, შეურაცხყოფა, ხულიგნობა, წერილი ქურდობა და სხვ.).

3. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო აირჩევა საწარმოში—დამკერელ მუშათაგან და დაწესებულებაში—დამკერელ მოსამსახურეთაგან სათაშადლო-საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ან საფაბრიკო-საქარბნო კონფერენციაზე; სასამართლო შესდგება: თავმჯდომარისა, მისი ერთი ან ორი მოადგილისა და არა ნაკლებ, ვიდრე ექვსი წევრისაგან, უკეთეს საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურე 100-ზე ნაკლებია, და 10 წევრისაგან, უკეთეს მუშა-მოსამსახურე 100-ზე მეტია. წევრთა რიცხვს განსაზღვრავს სათანადო საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ან საფაბრიკო-საქარბნო კონფერენცია.

საწარმოო-საამხანაგო სასამართლო აირჩევა ვადით ერთ წლამდე. საფაბრიკო-საქარბნო და ადგილობრივ კომიტეტს აქვს არჩეული სასამართლოს შედგენილების მთლიან ან ცალკეული წევრების ჩამოცილების უფლება.

ამომრჩეველს შეუძლიანთ საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრების უკან გაწვევა, უკეთეს ისინი არ გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობას.

4. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო, მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, განიხილავს საქმეს: ა) შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, როგორც არის: არაერთხელ დაგვიანება სამუშაოზე, მუშაობის გაცდენა, სამუშაოზე მთვრალად მისვლა და ერთი საწარმოდან მეორეში არაპატივსაღები მიზეზით გადასვლა; ბ) სოციალისტური ქონებისადმი (მანქანა, იარაღი, მასალა, სადგომი და სხვ.) სისტემატურად დაუდევრობით მოპყრობის შესახებ; გ) ზღვრული ნორმის ზედმეტად წუნდაღებული პროდუქციის დამზადების შესახებ; დ) სიტყვით, წერილობით ან მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ; ტყუილი გამაწმინდნელი ცნობების გავრცელების შესახებ; სხულის დაუზიანებლად ცემის შესახებ; ე) უბრალო ქურდობის შესახებ, ე. ი. საწარმოს თუ დაწესებულების ტერიტორიაზე მუშისა თუ მოსამსახურისათვის რისამე მოპარვა ან საწარმოს თუ დაწესებულების მასალისა, იარაღისა და პროდუქციის მოპარვა, უკეთეს ნაჭურდალის ღირებულება 50 მან. არ აღემატება; ვ) უბრალო ხულიგნობის შესახებ, ე. ი. თავაშვებული, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობასთან დაკავშირებული, მოქმედება, ან სხვა, საზოგადოებრივი კოლექტივის პირობების შეუსაბამო საქციელი, რაც გამოსახავს ყოფა-ცხოვრების უარყოფითს მხარეს; ზ) ტონებრივი დავის შესახებ, უკეთეს თანხა 50 მან. არ აღემატება.

5. საწარმოო-საამხანაგო სასამართლომ არ უნდა განიხილოს: ა) საქმე, რომელიც შეიძლება აღიძრას ხელკვეითსა და ზემდგომი თანამდებობის პირს შორის და აგრეთვე მუშასა და საადმინისტრაციო-სატეხნიკო პერსონალის პირს შორის ისეთი ურთიერთობის შესახებ, რაც უშუალოდ გამომდინარეობს მათი მუშაობიდან ამა თუ იმ დაწესებულებასა ან საწარმოში; ბ) საქმე აღნიშნულსა და შრომის სარჩელის შესახებ.

მე-4 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში გათვალისწინებული საქმეები, აგრეთვე საქმეები საწარმოს მასალისა და იარაღის მოპარვის შესახებ (მე-4 მუხ. „ე“ პუნქტ.) საწარმოო-საამხანაგო სასამართლომ უნდა განიხილოს ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაცია თვით გადასცემს საქმეს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს, ან როდესაც იგი წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე საწარმოო-საამხანაგო სასამართლომ განიხილოს, უკეთეს ეს საქმე აღძრულია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მუშებისა და მოსამსახურეების მიერ.

უკეთეს საწარმოო-საამხანაგო სასამართლო ცნობს, რომ მის მიერ მიღებული საქმე მას არ ექვემდებარება ან, თუნდაც ექვემდებარებოდეს, იგი თავისი ხასიათით რთულია ან საჭიროებს, რომ მართლწესრიგის დამრღვევს შეეფარდოს უფრო სასტიკი სახელმძოქმედო ღონისძიება, ვიდრე ეს მე-13 მუხლის მიხედვით შეიძლება, იგი საქმეს სათანადო სახალხო სასამართლოს გადასცემს ქვემდებარეობის საერთო წესისამებრ განსაზღვრულად.

6. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო განიხილავს მე-4 მუხლში აღნიშნულ საქმეებს: ა) როდესაც მხარეები ერთი და იმავე საწარმოს თუ დაწესებულების მუშები და მოსამსახურეები არიან და აგრეთვე მათი ოჯახის წევრები და სხვა პირები, რომელნიც, თუნდაც უწყებულ საწარმოსა და დაწესებულებაში არ მუშაობდნენ, ცხოვრობენ საუბრიკო-საქარხნო ტერიტორიაზე; ბ) როდესაც მხარეები ერთი და იმავე ქალაქის ან მისი რაიონის სხვადასხვა, მაგრამ ისეთი საწარმოს თუ დაწესებულების მუშები და მოსამსახურეები არიან, სადაც მოწყობილია საწარმოო-საამხანაგო სასამართლო, რომელშიაც მუშაობს მოპასუხე ან მცირე დანაშაულის ჩამდენი პირი; გ) როდესაც სარჩელი მიმართულია ცალკეული მუშისა და მოსამსახურის წინააღმდეგ მისივე საწარმოს თუ დაწესებულების მუშისა და მოსამსახურის მიერ, აგრეთვე როგორც მისივე საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, ისე სხვა ისეთი დაწესებულების ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, რომელიც ქალაქის თუ მისი რაიონის ტერიტორიაზე იმყოფება.

7. უკეთეს მცირე დანაშაულის ჩამდენი პირის მოქმედებას, გარდა ამ მცირე დანაშაულისა, რაც საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარება, აქვს აგრეთვე სხვა რაიმე დანაშაულის ნიშნები, მთელი საქმე განსაზღვრულად უნდა გადაეცეს სათანადო სახალხო სასამართლოს.

8. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში საქმე შეიძლება აღიძრას დაინტერესებული პირის ან პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი განცხადებით.



9. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო მუშაობა შეზღუდული არ არის სამართლის წარმოების არავითარი ფორმალური წესებით, გარდა იმ წესებისა, რაც ამა დადგენილებაშია.

სამართლის წარმოება საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში განთავსებულ-ლებულია ყოველგვარი ფულადი და სხვა გამოსაღებისაგან.

10. საქმეს საწარმოო-საამხანაგო სასამართლო განიხილავს კარლია სხდო-მაზე სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილისა და ორი წევრის შე-დგენილობით; წევრები მიიწვევიან რიგრიგობით. სხდომის დღეს და საათებს საწარმოო-საამხანაგო სასამართლო განსაზღვრავს ისეთი ვარაუდით, რომ სასა-მართლოში მონაწილე პირნი არ მოსცდნენ წარმოებაზე მუშაობას.

საქმე საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ხუთი დღისა განცხადების მიღების დღიდან.

ტექნიკურ მომსახურებას საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს გაუწევს სა-ფაბრიკო-საქარბნო და ადგილობრივი კომიტეტის აპარატი.

11. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო მოვალეა დაიბაროს საქმის გან-ხილვისათვის მომზივანი, მოპასუხე ან მცირე დანაშაულის ჩამდენი, მოისმინოს მათი ახსნა-განმარტება, დაჰკითხოს, უკეთეს საჭიროა, მოწმეებს, მოახდინოს ადგილობრივი დათვლიერება და იხმაროს ლონისძიებანი საქმის სრული და ყოველმხრივი გამორკვევისათვის.

საქმეზე დადგენილების გამოტანამდე საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან გამართოს დამსწრე მუშა-მოსამსახურეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

უკეთეს საქმეში მონაწილე პირები, მიიღებენ რა შეტყობინებას, სასამართ-ლოში არ გამოცხადდებიან, საქმე შეიძლება ან გადაიდოს გამოუცხადებელ პირთა დასაბარებლად, ან განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ უიმითოდ, ან და მოისპოს.

12. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დადგენილება მიიღება სასამართ-ლოს შედგენილობის ხმის უმეტესობით, იწერება მოკლედ და გამოეცხადებათ საქმეში მონაწილე პირთ საჯაროდ.

13. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან შეუფარდოს მცირე დანაშაულის ჩამდენ პირს შემდეგი სახედმოქმედო ლონისძიება: ა) გაფრთხი-ლება; ბ) საზოგადოებრივი ვაკიცხვა კედლის ვახეთში თუ საერთო პრესაში გამოქვეყნებით ან გამოუქვეყნებლად; გ) ჯარიმა არა უმეტეს 10 მანეთისა სა-ზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ („ავიაქიმი“-სა, „ბავშვთა მგობ-რისა“ და სხვ.); დ) მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, უკეთეს იგი 50 მანეთს არ აღემატება; ე) აღმინისტრაციის წინაშე დათბდენის საკითხის აღძვრა; ვ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წინაშე პროფესიონალური კავშირიდან განსაზღვრული ვადით გამორიცხვის სა-კითხის აღძვრა.

შენიშვნა. „დ“ პუნქტში აღნიშნული სახედმოქმედო ლონისძიების გადაწყვეტა სასამართლოს შეუძლიან დამატებითი სახედმოქმედო ლონის-ძიების სახითაც.

14. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დადგენილება საბოლოოა, არ განისაზღვრება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღსრულებული.

15. უკეთეს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დადგენილების ის ნაწილი, რაც ჯარიმასა და სხვა ფულად გადასახდელს ეხება, შესრულებულ არ იქნა ნებაყოფლობით, ამ გადასახდელს მუშასა თუ მოსამსახურეს გადაახდევინებს საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაცია სამუშაო ხელფასიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლის წესების დაცვით; ამასთანავე, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს უფლება აქვს ჯარიმისა და სხვა ფულადი გადასახდელის გადახდის ვადა გაანაწილოს.

16. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს მოქმედებას ზედამხედველობას უწევს სახალხო სასამართლო და პროკურატურა. უკეთეს სახალხო მოსამართლე დამოუკიდებლად ან პროკურორის პროტესტის მიხედვით, აღმოაჩენს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოში ამ სასამართლოს არაკეცმდებარე საქმეს, ან შენიშნავს მის დადგენილებაში კომპეტენციის გადამეტებას, ან და კანონის არსებობის დარღვევას, იგი შეაჩერებს ამ დადგენილების აღსრულებას, ჩამოართმევს მის საქმეს და მიიღებს თავისდა განსაზღვრულად.

17. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭო და უზენაესი სასამართლო, ხოლო ადგილობრივ—პროფესიონალური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია და სასამართლოს ორგანო.

18. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1929 წ. აგვისტოს 29-ისა „სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაში მომქმედი საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 198) და 1930 წ. იანვრის 6-ისა „სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაში მომქმედი საამხანაგო სასამართლოების ქვემდებარეობის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 33).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. პ. მელაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1931 წ. ივნისს 6.